



საქართველოს უნივერსიტეტი

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა

ისტორიის სადოქტორო პროგრამა

ხელნაწერის უფლებით

თეა ზარიძე

**პოლიევქტოს კარბელაშვილი,
როგორც ქართული სახელმწიფოსა
და ეკლესიის ისტორიის მკვლევარი**

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

სადისერტაციო მაცნე

(კვალიფიკაციის კოდი 1004 - ისტორია)

თბილისი
2025

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს
უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა სკოლის ისტორიის დეპარტამენტში.

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ქორიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
სამეცნიერო ხელმძღვანელი: დოდო ჭუმბურიძე, ისტორიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
საბჭოს წევრი: ვაჟა კიკნაძე, ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი;
ოფიციალური ექსპერტი - ნიკოლოზ ჯავახიშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ოფიციალური ექსპერტი - ირინა არაბიძე, ისტორიის
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ოფიციალური ექსპერტი - მიხეილ ქართველიშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2025 წლის 24 ოქტომბერს,
16:00 საათზე;
მისამართი: თბილისი, კოსტავას #77, #519 აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და უნივერსიტეტის
ოფიციალურ ვებ გვერდზე: www.ug.edu.ge

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2025 წლის 1 სექტემბერს;

სადისერტაციო საბჭოს მდივანი
ნათია მანჯიკაშვილი

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საკვლევი თემის მნიშვნელობა და აქტუალობა-

სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს პირველ მცდელობას, პოლიექტოს კარბელაშვილის ნააზრევის კონტექსტში, სიღრმისეულად შესწავლილი და გამოკვლეული იქნეს ნაციონალიზმის ეპოქის ისტორიული აზროვნება, მისი თავისებურებანი, ის ფუნქცია, რაც ისტორიულმა მეცნიერებამ ახალ დროში შეიძინა; ნათლად წარმოჩენს, თუ როგორ გაჩნდა ისტორიულ გმირთა ახალი კონცეფცია, რათა ერში იმ ურთულეს დროს ნიჰილიზმისა და უიმედობის განცდა გამქრალიყო; სადისერტაციო ნაშრომში შევეცადეთ გამოგვეკვეთა ის ისტორიული მეთოდოლოგია და წყაროთმცოდნეობითი ბაზა, რაც იმპერიის პერიოდის ქართველი ისტორიკოსებისთვის იყო დამახასიათებელი; ნათელი გახდა, როგორ ეხმარებოდნენ „ივერიასა“ და სხვა დემოკრატიულ პრესაში მოღვაწე ისტორიკოსები ეროვნულ საქმეს, როგორ იყენებდნენ წარსულის მაგალითებს თანამედროვე პრობლემების ასახსნელად; ჩვენ მიერ სამეცნიერო კვლევაში შემოტანილი, აქამდე უცნობი და გამოუქვეყნებელი საარქივო, პრესისა და წყაროთმცოდნეობითი მასალები ბევრ სიახლეს აჩვენებს საქართველოს ძველი და თანამედროვე ისტორიის მკვლევრებს, თავის წვლილს შეიტანს ზოგიერთი იმ პრობლემის შეფასებაში, რომელთა მიმართ განსხვავებული თვალსაზრისები არსებობს.

კვლევის მიზანი - კვლევის კონკრეტულ მიზანს წარმოადგენს პოლიექტოს კარბელაშვილის, ილიას თანამოაზრისა და „ივერიის“ გუნდის წევრის, საისტორიო აზროვნების მაგალითზე ჩვენება იმისა, თუ რა მთავარ მისიას აკისრებდა ეს გამოჩენილი პიროვნება ერის კონსოლიდაციის საქმეში საქართველოს ისტორიას. მეცნიერულად შევისწავლოთ და გავაანალიზოთ წმინდა

მამის, მღვდელ პოლიევქტოს კარბელაშვილის წვლილი მთელს ამ პროცესებში. მის მიერ საქართველოს ისტორიული წარსულის გააზრების კონტექსტში ვაჩვენოთ, რა დანიშნულება შეიძინა ისტორიულმა თემატიკამ ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი გზის დასაწყისში, გამოვკვეთოთ შედეგები, რაც ამ პროექტის განხორციელებას უნდა მოეტანა კოლონიურ რეჟიმთან ბრძოლისა და დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენის თვალსაზრისით.

კვლევის ამოცანა - საკვლევი თემის ძირითადი ამოცანაა, ქართულ ისტორიოგრაფიულ მეცნიერებას დაეუბრუნოთ XIX საუკუნის მეორე ნახევრის აქამდე შეუსწავლელი გამოჩენილი სულიერი მამის ნააზრევი, საქართველოს ისტორიული წარსულის სხვადასხვა მოვლენაზე მისი შეხედულებები, წარმოვაჩინოთ მისი სულიერი და ეროვნული ღვაწლი ქვეყნისა და ერის წინაშე. გვინდა ეს მიზანი ვაჩვენოთ 60-ანელთა, ე. წ. „თერგდა;ლეულთა“ ნაციონალური პროექტის კონტექსტში. ეს იყო ევროპის ხალხთა ლიბერალურ-დემოკრატიული იდეების გადმონერგვის პროცესი, ამისთვის საჭირო ხელსაყრელი ნიადაგის შესაქმნელად, ილია ჭავჭავაძის თანამოაზრეთა და თანაგუნდელთა მიერ მოხდენილი კულტურულ-საგანმანათლებლო რევოლუცია. ვაჩვენოთ, ეს უძნელესი ამოცანა როგორ სრულდებოდა რუსიფიკატორული პოლიტიკის, ქართული ენისა და კულტურის დევნის პირობებში. იმ დროს შექმნილი კულტურულ-საგანმანათლებლო ინსტიტუტები, როგორ ემსახურებოდნენ ქართველი ერის თვითმეგნების, ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისა და ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის საქმეს. საინტერესოა ამ პირობებში რას ემსახურებოდა ისტორიული აზროვნება, რა თემებსა და კონცეფციებს აყენებდნენ 60-იანელთა თაობის ქართველი ისტორიკოსები. ამ ძირითადი პრობლემების ჩვენება, საკვლევი თემის მიხედვით ცვადათ ერთი გამორჩეული სასულიერო პირის _

პოლიევქტოს კარბელაშვილის მრავალმხრივი ღვაწლისა და ნააზრევის მეცნიერული ანალიზით, მის მიერ ქართულ სააზროვნო სივრცეში შემოტანილი კონცეპტუალურად ახალი იდეების წარმოჩენით.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი

შედეგები - საკვლევი თემის აქტუალობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები. ნაშრომი გარკვეულ სიახლეს შემოიტანს გენეალოგიური, ქრონოლოგიური, ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხების გააზრებაში, საქართველოს ისტორიის კვლევის სივრცეში შემოიყვანს კიდევ ერთ, მრავალი მიმართულებით მოღვაწე, ქვეყნისა და ერის წინაშე დამსახურებულ, თამამად და უაღრესად საინტერესოდ მოაზროვნე სასულიერო პირს - პოლიევქტოს კარბელაშვილს.

კვლევის მეთოდოლოგია - სადისერტაციო ნაშრომი ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდებს. გამოყენებულია კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში მოვლენათა ურთიერთგანპირობებულობისა და ურთიერთკავშირის დადგენის პრაგმატული მეთოდოლოგია. ასევე, ისტორიულ-შედარებითი, მეცნიერული ანალიზისა და სინთეზის მეთოდები. ჩვენ მიერ გამოყენებულმა მეთოდოლოგიამ საშუალება მოგვცა გამოგვეკვეთა როგორ, რა მეთოდებით ცდილობდა პოლიევქტოს კარბელაშვილი თავის თანამედროვე საზოგადოებაზე გავლენის მოხდენას, მათში ისტორიული წარსულის მიმართ ინტერესისა და სიყვარულის გაღვივებას, როგორ განიცდიდა თავის თანამედროვე რეალობას.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული

ღირებულება - ნაშრომი გამოადგება ყველა იმ დარგის სპეციალისტს, რომელიც დაინტერესებულია საქართველოს წარსულით, ასევე XIX საუკუნის მეორე ნახევრის –

„ნაციონალიზმისა და ერების თვითგამორკვევის ეპოქით“. მისი გამოყენება შეეძლება ჰუმანიტარული ფაკულტეტის ლექტორებსა და სტუდენტებს, რათა მეტად გაიღრმავონ საისტორიო ცოდნა, ჩაწვდნენ ბევრი ისტორიული მოვლენის არსს, მოახდინონ მისი ახლებური ინტერპრეტაცია. ასევე, ნაშრომი საინტერესო იქნება საქართველოს პოლიტიკური და საეკლესიო ისტორიით დაინტერესებული ყველა პირისათვის.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა -

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 300 გვერდს და შედგება შესავლის, ხუთი თავის, დასკვნის, 9 დანართისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალი

სადისერტაციო ნაშრომის შესავალ ნაწილში დასაბუთებულია საკვლევი თემის მნიშვნელობა და აქტუალობა, ჩამოყალიბებულია კვლევის მიზანი და ამოცანები, განსაზღვრულია ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, ნაჩვენებია კვლევის მეთოდოლოგია, მოცემულია საკითხის შესწავლის ისტორია, აგრეთვე მოცემულია პოლიევექტოს კარბელაშვილის ბიოგრაფია.

თავი I

გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვა

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას, ჩვენ ძირითადად გამოვიყენეთ პ. კარბელაშვილის წინა თაობისა და მისი თანამედროვე ისტორიკოსების ნაშრომები. ეს ავტორები არიან: ფარსადან გორგიჯანიძე (1626-1696), ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1757), სეხნია ჩხეიძე (1670-1739), პაპუნა

ორბელიანი, ომან ხერხეულიძე (17??-1805), ალექსანდრე ამილახვარი (1750-1802), იოანე ბაგრატიონი (1766-1830), დავით ბაგრატიონი (1767-1819), თეიმურაზ ბაგრატიონი (1782-1846), თედო ჟორდანია (1854-1916), ალექსანდრე ფრონელი (ყიფშიძე) (1862-1916), დიმიტრი ბაქრაძე (1826-1890), პლატონ იოსელიანი (1809-1875), დავით კარიჭაშვილი (1862-1927), ნიკო მთვარელიშვილი (1844-1923), ივ. ჯავახიშვილი (1876-1940), დიმიტრი ფურცელაძე(1825-1891), ალექსანდრე ცაგარელი (1844- 1929), პეტრე უმიკაშვილი (1838-1904), ალექსანდრე ხახანაშვილი (1864-1912 წწ.), მიხეილ (გობრონ) საბინინი (1845-1900), მიხეილ თამარაშვილი (1858-1911), კირიონ(გიორგი) სამაგლიშვილი (1855-1918), ილია ოქრომჭედლიშვილი (სერებრიაკოვი) (1838-1898), ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე (1825-1896), სარგის კაკაბაძე (1886-1967), ნიკო მარი (1864-1934) და სხვ.

სადისერტაციო ნაშრომში მოცემული კონკრეტული ფაქტების დასადასტურებლად, ასევე ვიყენებთ უახლეს ქართულ ისტორიოგრაფიას, თანამედროვე მკვლევართა მეცნიერულ მიგნებებსა და ინტერპრეტაციებს, თუმცა, მთავარი აქცენტი მაინც გადაგვაქვს პ. კარბელაშვილის თანამედროვე ისტორიკოსთა ნააზრევთან მისი შეხედულებების შედარება-შეჯერებასა და კვლევის შედეგების შეფასებაზე.

თავი II

პოლიევქტოს კარბელაშვილი-საქართველოს ისტორიული წარსულის მკვლევარი

პ. კარბელაშვილმა, როგორც 60-იანელთა იდეურმა წარმომადგენელმა, ბევრი რამ გააკეთა საქართველოს ისტორიული წარსულის უკეთ წარმოსაჩენად. მან გამოიყენა როგორც საკუთარი, ასევე სხვა მოღვაწეთა მიერ შეკრებილი უცნობი წერილობითი ძეგლები, სიგელ-გუჯრები, ქართლის თავადთა ოჯახებში დაცული სხვადასხვა პოლიტიკური და

სოციალური შინაარსის შემცველი საბუთები და მათი გაანალიზებით სცადა ახლებურად წარმოეჩინა წარსულის ბევრი მოვლენა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მისი ნარკვევი დაუსრულებელია, ან ფრაგმენტულად წარმოსახავს ისტორიულ პირთა მოღვაწეობას, ამ მიმართულებით გაწეულ მის შრომას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ისტორიოგრაფიის შემდგომი განვითარებისათვის. დეკანოზმა პოლიევექტოსმა ამ მიზნით შეისწავლა სვანეთის ძველ ეკლესია-მონასტრებში დაცული მასალები. ასევე, მან გადაწერა და მომავალ თაობებს შემოუნახა ორი ათასამდე სიგელ-გუჯარი. მკვლევარმა დიდი მუშაობა გასწია XII-XIII საუკუნეების „ქრონიკის“ შედგენის საქმეში, სადაც უამრავი ეპიგრაფიკული, ეთნოგრაფიული, დოკუმენტური და ფოლკლორული მასალა შევიდა.

პოლიევექტოს კარბელაშვილმა გამორჩეული ღვაწლი დასდო დავით გარეჯის მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცული ისტორიული სიძველეების შესწავლას. ამ ბიბლიოთეკას ის 1889 წელს ეწვია და აქ დახვდა მდიდარი ხელნაწერების კოლექცია, რომელშიც მისი სიტყვით, 110 წიგნი შედიოდა და აქედან 22 ტყავზე ყოფილა დაწერილი. დეკანოზმა პოლიევექტოსმა გადმოწერა და გაშიფრა ხელნაწერებზე არსებული მინაწერები, სადაც მრავალი უცნობი საისტორიო ფაქტი იყო მოტანილი. პ. კარბელაშვილმა მიაკვლია გურჯაანში „ვეფხისტყაოსნის“ ძველ ხელნაწერს, რომელიც ჟურნალ „ივერიაში“ გამოქვეყნდა.

დეკანოზი პ. კარბელაშვილი, ქართველი ხალხის მიერ განვლილ ისტორიულ გზას, ურთულესად და სახელოვნად მიიჩნევდა. ამასთანავე, აწმყო დროში მისი მდგომარეობა აღელვებდა და ერთგვარად იმედსაც უცრუებდა. თუმცა, მთელი მისი მოღვაწეობა იყო ცდა – ღირსეული წარსულის მქონე ქართველი ხალხისთვის კვლავ დაებრუნებინა უნარი უკეთესი მომავლისთვის საბრძოლველად. ამ მიზნის განსახორციელებლად, იგი აქტიურად წერდა საქართველოს

მეფეებისა და ბატონიშვილების შესახებ, რომელთაც მთელი ცხოვრება მტრის წინააღმდეგ ბრძოლასა და ქვეყნის დაცვას შეაღიეს. აქებდა და ხოტბას ასხავდა მათ საგმირო საქმეებსა და გადაწყვეტილებებს, თუმცა, არც მათ კრიტიკას ერიდებოდა.

აღნიშნულ თავში წარმოდგენილი გვაქვს პ. კარბელაშვილის არქივში დაცული მასალა გიორგი VII-ის, სვიმონ I-ის, ლუარსაბ II-ის, როსტომ ხოსრო მირზას, ვახტანგ V-ისა და ვახტანგ VI-ის შესახებ. მათში მკვლევარი გამოხატავს საკუთარ თვალსაზრისს ამ ისტორიულ პიროვნებებზე, გამოკვეთს მათ დამსხურებას ერისა და ქვეყნის წინაშე.

თავი III

ერეკლე II-ის სახელმწიფო პოლიტიკისა და საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შეფასება პოლიეკტოს კარბელაშვილის მიერ

ერეკლე II არის მეფე, რომელსაც დეკანოზი პ. კარბელაშვილი თავის საარქივო ჩანაწერებში, ყველაზე დიდ ადგილს უთმობს. აქ თავმოყრილია ინფორმაცია, რომელიც ცხად სურათს გვიხატავს, რა ვითარებაში ცხოვრობდა XVIII საუკუნის ქართლ-კახეთის მოსახლეობა, რა მძიმე ცხოვრებას უძლებდა ხალხი.

პ. კარბელაშვილის ჩანაწერები ცხადად ასახავს, რომ ერეკლე II მთელი მეფობის მანძილზე ებრძოდა როგორც გარე, ისე შიდა მტერს. განსაკუთრებით მოუგვარებელი იყო ლეკების საკითხი, რომელთა თარეშიც სრულად ვერ იქნა და ვერ აღკვეთა. ქართლ-კახეთის გარშემო არსებული დამაბული ვითარებისა და მუდმივ თავდაცვაზე ზრუნვის ფონზე, კარგად არის ნაჩვენები ის ფაქტიც, რომ ერეკლე II როგორც მამასთან, ისე კათოლიკოს ანტონ I-თან ერთად, მონდომებას არ აკლებდა ქვეყნის ყველა მიმართულებით განვითარებას.

პ. კარბელაშვილის საარქივო ჩანაწერებიდან კარგად ჩანს, რომ გამეფებისთანავე ერეკლე-თეიმურაზს მოუწიათ აქტიური ქმედებების დაწყება, როგორც ქვეყნის ტერიტორიების დაცვისა თუ გაფართოებისთვის, ისე ქვეყნის განვითარებისთვის: ეკონომიკური, სამხედრო, კულტურული და ა.შ. მიმართულებით; ეს ღონისძიებები განსაკუთრებით აუცილებელი იყო მტრებით გარემოცული ქვეყნის მოსაძლიერებლად, რათა ეკონომიკური სტაბილურობა ჰქონოდა ქვეყანას და ეს სამხედრო საქმეშიც დახმარებოდა. პ. კარბელაშვილი დეტალურად ჩამოთვლის და აჯამებს, თუ რა აღმშენებლობითი საქმეები განახორციელა ერეკლე II-მ. კარგად არის ნაჩვენები მეფის ფინანსური გაძლიერება, რაც დაეხმარა მას მეზობელი სახანოების მოკავშირეებად გადაქცევაში. ავტორი ასევე მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ლევან ბატონიშვილს, ერეკლე II-ის ძეს, რომლის სიკვდილსაც დიდ ტრაგედიად თვლის ქვეყნისთვის, მიაჩნია, რომ სიცოცხლის შემთხვევაში, იგი მამას ტრაქტატის გაფორმების უფლებას არ მისცემდა.

აქვეა განხილული, თეიმურაზ-ერეკლეს მიერ რუსეთთან ურთიერთობის დაწყების ქრონოლოგია. დეკანოზ პ. კარბელაშვილს, თავის საარქივო ჩანაწერებში კარგად აქვს ნაჩვენები რუსეთის დამოკიდებულება საქართველოს მეფეებთან, ფარული მიზნები და რეალური ქმედებები; წყაროების საფუძველზე, გენერალ ტოტლებენის შესახებ ბევრი უცნობი ფაქტი აქვს მოწოდებული, რაც მისი პიროვნების უკეთესად შეფასების საშუალებას იძლევა. აქვე, ავტორი პირდაპირ უთითებს, რომ უკვე ტოტლებენს ჰქონდა საიდუმლო დავალება რუსეთის ხელისუფლებისგან, ერეკლე მეფე დაემხო და ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთისთვის შეეერთებინა.

პ. კარბელაშვილი, მისი თანამედროვე ისტორიკოსებისა და სწავლულებისაგან განსხვავებით, ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად აფასებს გეორგიევსკის ტრაქტატის

სამოკავშირეო ხელშეკრულებას, მის შედეგებს ქართლ-კახეთის სამეფოსთვის. მიიჩნევს, რომ რუსეთმა მოატყუა ქართველი მეფე და ქართული საზოგადოება, გამოიყენა საკუთარი ინტერესებისათვის და საბოლოოდ დაიპყრო იგი. ავტორი იმასაც კარგად გვაჩვენებს, 1783 წლიდან მოყოლებული, წლების მანძილზე, როგორ უშედეგოდ ცდილობდა ერეკლე II მიეღო ტრაქტატის პირობებით გათვალისწინებული დახმარება რუსეთისგან. ამ თავშივე განხილული გვაქვს პ. კარბელაშვილის საარქივო ცნობები გიორგი XII-ისა და ალექსანდრე ერეკლეს ძე ბატონიშვილის შესახებ.

თავი IV - პოლიევექტოს კარბელაშვილი –

საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარი

საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლას XIX ს-ის 50-იანი წლებიდან დიდი ყურადღება დაეთმო.

განსაკუთრებული წვლილი ამ სფეროში შეიტანეს სასულიერო პირებმა, რუსი ეგზარხოსების ანტიქართული საეკლესიო პოლიტიკის პირობებში მომუშავე ადამიანებმა, რომელთა მიზანს წარმოადგენდა ეჩვენებინა საეკლესიო ცხოვრების ის მდიდარი ტრადიციები, რაც საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების პირველივე საუკუნიდანვე შეიქმნა. პოლიევექტოს კარბელაშვილი იყო სწორედ ერთ-ერთი მსგავსი სასულიერო პირი, რომელიც თავდადებით ცდილობდა ცარიზმის საეკლესიო პოლიტიკას საქართველოში აქტიურად დაპირისპირებოდა. მან ერთ-ერთმა პირველმა დაგმო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის წართმევა და მისი შეყვანა რუსული სინოდის მმართველობაში.

ავტორი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ საქართველომ ქრისტიანობა მაშინ აღიარა, როდესაც ჯერ კიდევ რომში არ იყო ამ რელიგიის აღსრულების წესები დადგენილი. იგი მნიშვნელოვან ადგილს აკუთვნებს ავტოკეფალიის მიღების

საკითხს. მიაჩნია, რომ მცხეთის კათოლიკოსის დამოუკიდებლობამ, სიცოცხლე მოუმატა საქართველოს ეკლესიას.

პ. კარბელაშვილის ჩანაწერებიდან, აშკარად იკვეთება სამღვდელოების გაზრდილი როლი საზოგადოებასა და სამეფო ხელისუფლების მოღვაწეობაში. თუმცა, ავტორი ამაში საფრთხეს არ ხედავდა, რადგან მიიჩნევდა, რომ მეფეებსაც აწყობდათ ძლიერი სამღვდელოება, ვინაიდან ამას მიიჩნევდნენ სამეფოს ძლიერების მთავარ საშუალებად.

ქრისტიანობის საფუძვლების სწორად დაცვაში ხედავდა პოლიევქტოს კარბელაშვილი საქართველოს სამეფოსა და ეკლესიის დღეგრძელობის წინაპირობას. მან თავის ნაწერებში, ნათლად აჩვენა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ძველი და სახელოვანი ისტორია, მისი დიდი როლი საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ერის ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებაში. კარბელაშვილს ცალკე თავად აქვს შემოთავაზებული მასალა - „ეკლესიის სასულიერნო პირნი“. მასში მოცემულია პეტრედან (457 წ.) და სამუელ I-დან (457-499 წ.) მოყოლებული, ჩამონათვალი საქართველოს ეკლესიის კათოლიკოსებისა წლების მითითებით. აქვე მითითებულია, ავტორის ხელთ არსებული დამატებით ინფორმაცია თითოეული მათგანის შესახებ.

პ. კარბელაშვილის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კათოლიკოსი ანტონ I. მას მსოფლიო საეკლესიო ისტორიაში XVIII ს-ის „ბრწყინვალე ვარსკვლავს“ უწოდებს. ასევე გაოცებულია - „როგორ აღზარდა ვახტანგ VI-ის გამუსლიმანებულმა ძმამ – იესე მეფემ ასეთი შვილი“. იმ დროს, როდესაც კათოლიკოს ანტონ I-ს ბევრი აკრიტიკებდა, კარბელაშვილის შეფასება საინტერესოა და საგულისხმო. პ. კარბელაშვილის საქმეების სხვადასხვა ნაწილში, ვხვდებით ბევრ მნიშვნელოვან ინფორმაციას კათოლიკოს ანტონ I-ზე.

თავად ავტორი, კათოლიკოსს ყველაზე დიდ ნაკლად უთვლის „გეორგიევსკის ტრაქტატზე“ ხელის მოწერას. პოლიევქტოს კარბელაშვილი, როგორც სასულიერო მოღვაწე, განსაკუთრებულად განიცდიდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვასა და რუსეთის სინოდზე მის დაქვემდებარებას. შესაბამისად, მეტად კრიტიკულია რუსული ხელისუფლების პოლიტიკისა და მათ მიერ ეკლესიაში გატარებული რეფორმების მიმართ. აქ განხილულია ეკლესიებისთვის ქონების ჩამორთმევის საკითხი, ასევე, ჩვენება იმისა, რა მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართული სამღვდელოება. როგორ ებრძოდნენ სემინარიაში ქართულ ენას და ა.შ. პოლიევქტოს კარბელაშვილის მრავალრიცხოვან ჩანაწერებში, დიდი ადგილი უკავია ქართული საგალობლების მნიშვნელობას, მისი განვითარების ისტორიას და მის სრულყოფაზე ზრუნვას. იგი თვლიდა, რომ ეს იყო ორიგინალური კულტურული ფაქტი, რომელშიც ჩაიდო ქართველი ხალხის უძველესი ისტორიისა და სულიერი ცხოვრების, საერო და სარწმუნოებრივი ყოფის პლასტები. ის არ ყოფილა არც ბერძნული და არც რომელიმე სხვა ქვეყნის საგალობელთა მიზაძვით შექმნილი, არამედ შეიქმნა ქართველი ერის სულიერ ემოციაზე დაყრდნობით, ქართული ენის სიღრმისეული განცდით და უფლისადმი გამორჩეული სიყვარულის ნაყოფს წარმოადგენს. კარბელაშვილების ოჯახის მრავალ დამსახურებათაგან ერთ-ერთია „კარბელოვების გალობა“, რომელსაც ხშირად, როგორც „კარბელაანთ კილო“, ისე მოიხსენიებენ. ეს არის ქართული (ქართლ-კახური) გალობის კილო, რომელიც შემოინახა კარბელოვების/კარბელაშვილების საგვარეულო ტრადიციამ. მის ფუძემდებლად გვევლინება პოლიევქტოვის პაპა – პეტრე ხმაღამე – „კარბელა“ (1754-1848).

**თავი V - საქართველოს საზოგადოებრივ-
პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და
ეთნიკური ურთიერთობების საკითხები
პოლიექტოს კარბელაშვილის ნაწერებში:**

პ. კარბელაშვილი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს 1812 წლის კახეთის აჯანყებას და მისი წინაპირობების განხილვას. მოცემული აქვს კონკრეტული წერილები აჯანყების წინაპირობებისა და მიზეზების შესახებ. მის მიერ შემოთავაზებული ვრცელი წერილები მძიმე, თუმცა ცხად სურათს გვისახავს ქართველი ხალხის გაუსაძლისი მდგომარეობის შესახებ, რუსული მმართველობის პირობებში.

დეკანოზის განსაკუთრებული ყურადღება, ასევე მიიქცია 1765 წლის შეთქმულებამ ერეკლე II-ის წინააღმდეგ, რომელსაც სათავეში ედგა პაატა ბატონიშვილი. ეს იყო შეთქმულება, რომლის საფუძველიც დიდი ხნის მანძილზე მზადდებოდა. პაატა ბატონიშვილის შეთქმულების ჩაშლითა და შეთქმულთა უმკაცრესად დასჯით, ერეკლე II-მ თავიდან მოიშორა როგორც ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი ტახტისა, ისე ამილახვართა გვარიც, ყველაზე ძლიერი საფეოდალო სახლი მისი მოღვაწეობის პერიოდში.

XVIII ს-ის ისტორიით განსაკუთრებულად

დაინტერესებული პ. კარბელაშვილი, თავად-აზნაურთა გვარების ისტორიებს განიხილავს. ეყრდნობა გეორგიევსკის ტრაქტატის თანდართულ სიას. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამილახვართა საგვარეულოს - მათ ქართლში ჩამოსახლებას, სამეფო კარზე დაწინაურებას, განიხილავს ამ გვარის კონკრეტული წარმომადგენლების (ბარძიმ/ქოიარ; ანდუყაფარ, გივი, პაპუნა, დემეტრე,...) ცხოვრებას, მათ როლს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში და ა.შ..

საქართველოში დიდი ხნის წინ ჩამოსახლებულ ხალხთაგან, პ. კარბელაშვილის ჩანაწერებში მხოლოდ სამეხეზე გვაქვს

ვრცელი ინფორმაცია. ავტორს სხვადასხვა ისტორიული ფაქტი აქვს მოყვანილი დასტურად, რომ სომხები არასოდეს ქართველების მოკავშირეები და მხარამჭერები არ ყოფილან და რომ ქართველთა კეთილგანწყობას მათ მიმართ ყოველთვის ბოროტად იყენებდნენ.

პოლიევექტოს კარბელაშვილი აქტიურად თანამშრომლობდა და აქვეყნებდა სტატიებს იმდროინდელ გაზეთებში:

„ივერია“, „დროება“, „საქართველო“ და ა.შ.; უნდა აღვნიშნოთ, რომ პ. კარბელაშვილისგან დატოვებული პუბლიცისტური მემკვიდრეობა მრავალფეროვანია. აქ, ჩვენ ვხვდებით როგორც ისტორიულ-პოლიტიკურ, ასევე საეკლესიო და ყოფით თემებზე დაწერილ სტატიებს. ამ პუბლიცისტური მასალებიდან პ. კარბელაშვილის, როგორც 60-იანელთა ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერის, მიზანი ცხადად იკვეთება. მისი ხელნაწერები თუ ხელმისაწვდომი არ იყო თანამედროვე საზოგადოებისთვის, პრესაში გამოქვეყნებული სტატიები ნამდვილად მკითხველზე იყო გათვლილი და იმ მიზანს ემსახურებოდა, რასაც დეკანოზის მთელი ცხოვრება, – ქართველი ხალხი გაემხნევებინა ქვეყნის ისტორიული წარსულის საუკეთესო მაგალითებით, ჩაენერგა მასში ეროვნული სიამაყისა და უკეთესი მომავლისთვის ბრძოლის უნარი.

ძირითადი დასკვნები

1. პ. კარბელაშვილი, როგორც საქართველოს ეკლესიის მსახურთა პატრიოტული ფრთის წარმომადგენელი, აქტიურად იყო ჩართული ქართველ სამოციანელთა („თერგდალეულები“) ნაციონალური პროექტის განხორციელებაში.
2. პ. კარბელაშვილის სასულიერო მოღვაწეობამ, საერო პუბლიცისტიკამ, ისტორიული წარსულის კვლევებმა გარკვეული წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერებაში, რუსული კოლონიურ-იმპერიული

პოლიტიკის დამარცხებაში, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაში.

3. პ. კარბელაშვილმა შეისწავლა სვანეთის ძველ ეკლესია-მონასტრებში დაცული მასალები. ასევე, მან გადაწერა და მომავალ თაობებს შემოუნახა ორი ათასამდე სიგელ-გუჯარი. მკვლევარმა დიდი მუშაობა გასწია XII_XIII საუკუნეების „ქრონიკის“ შედგენის საქმეში, სადაც უამრავი ეპიგრაფიკული, ეთნოგრაფიული, დოკუმენტური და ფოლკლორული მასალა შევიდა.
4. პ. კარბელაშვილმა გამორჩეული ღვაწლი დასდო დავით გარეჯის მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცული ისტორიული სიძველეების შესწავლას. დეკანოზმა გადმოწერა და გაშიფრა ხელნაწერებზე არსებული მინაწერები, სადაც მრავალი უცნობი საისტორიო ფაქტი იყო მოტანილი. მან გადაწერა XV_XVIII საუკუნეების 1300-მდე საბუთი, რომელთა დედნებიც ამ დროისათვის დაკარგულია. შესაბამისად, პ. კარბელაშვილის გადაწერილი ხელნაწერები საქართველოს ისტორიის პირველწყაროს წარმოადგენს;
5. მნიშვნელოვანი და საინტერესოა პ. კარბელაშვილის კონცეპტუალური დასკვნები იმ ისტორიულ პირთა ღვაწლზე, რომელთა მიმართ ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე ორაზროვანი დამოკიდებულებაა (მეფე გიორგი VII, ვახტანგ VI, კათალიკოს-პატრიარქი ანტონ I და სხვ.). ყველა მათგანს ის აფასებს ერთადერთი კრიტერიუმით – სახელმწიფოსა და სარწმუნოებისადმი მათი ერთგულების ნიშნით, ამ მიმართულებით ქვეყნის წინაშე გაღებული ღვაწლით;
6. დეკანოზი პ. კარბელაშვილის მთელი მოღვაწეობა იყო ცდა – ღირსეული წარსულის მქონე ქართველი

ხალხისთვის, კვლავ დაებრუნებინა იმედი და ბრძოლის უნარი საქართველოს უკეთესი მომავლისთვის. ამ მხრივ, მისი საისტორიო ხასიათის თხზულებები გამოარჩევდა სამშობლოსთვის განსაკუთრებულად თავდადებულ მეფეთა ცხოვრებას (სვიმონ I, ლუარსაბ II, გიორგი VII, ერეკლე II და სხვ) და მაქსიმალურად დეტალურად აცნობდა საზოგადოებას.

7. პ. კარბელაშვილი თავისი ეპოქისთვის უჩვეულოდ თამამ აზრებს გამოხატავს საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ასპექტებზე, ღიად აკრიტიკებს რუსეთის ხელისუფლების, ასევე მათი საერო თუ სასულიერო წარმომადგენლების ქმედებებსა და გადაწყვეტილებებს საქართველოში.
8. უაღრესად საინტერესოა პ. კარბელაშვილის მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებისა და მისი პოლიტიკური შედეგების აღწერა-შეფასება. აგრეთვე, მას მიაჩნია, რომ ტრაქტატი რუსეთთან 1783 წელს ერეკლე II-მ სხვა მიზეზებთან ერთად, ვახტანგ VI-ის შთამომავლობის სამუდამოდ თავიდან მოსაშორებლადაც გააფორმა.
9. პ. კარბელაშვილი ობიექტურად აფასებს ერეკლე II-ის სახელმწიფო მოღვაწეობას. მკვლევარი უპირობოდ დიდ შეფასებას აძლევს მის სამხედრო ნიჭს, მაგრამ აკრიტიკებს ზოგიერთი პოლიტიკურ გადაწყვეტილების გამო. ესაა: ტრაქტატის გაფორმება რუსეთთან იმ პირობებით, რაც მასში ჩაიდო; ახალი მემკვიდრეობის ანდერძის შედგენა. პ. კარბელაშვილი ასევე არ მალავს მეფის გადამეტებულ სისასტიკეს მის წინააღმდეგ განწყობილ ადამიანთა მიმართ (დიმიტრი ამილახვარი, აბდულა ბეგი, პაატა ბატონიშვილი და სხვ.);

10. პოლიევქტოს კარბელაშვილმა დიდი მუშაობა გასწია ქართული საეკლესიო გალობის აღსადგენად, ჩასაწერად, მისი ღირსების საჩვენებლად და მომავალი თაობებისათვის გადასაცემად;
11. როგორც უადრესად განსწავლულმა სასულიერო პირმა, მან თავისი პუბლიკაციებით გააღრმავა საქართველოს ეკლესიის ისტორია, დიდი წვლილი შეიტანა რუსული სინოდის ანტიქართული პოლიტიკის წინააღმდეგ და საქართველოს ეკლესიისთვის დაკარგული ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში;
12. რეაქციის, რუსეთის ყველაზე დაუნდობელი პოლიტიკის ხანაში დაწერილი მისი წერილები საქართველოს საერო თუ სასულიერო ცხოვრებაზე, თამამიც იყო და ობიექტურიც. ეს არ იყო მარტო რუსეთის კრიტიკა, ის აკრიტიკებდა რუსეთის ინტერესების გამტარებელ ქართველ სამღვდელოებასა და მეფეებს, რომლებიც ადვილად ტყუვდებოდნენ ცბიერი მეზობლის პოლიტიკით.
13. პ. კარბელაშვილი აქტიურად იყო ჩაბმული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში, მისი დიდი წვლილიც იყო შეტანილი საეკლესიო მუზეუმის, ბიბლიოთეკებისა და სტამბების გახსნაში. პ. კარბელაშვილი აქტიურად მონაწილეობდა ლიბერალური და დემოკრატიული პრესის ორგანოებში.
14. პოლიევქტოს კარბელაშვილის ბევრი თვალსაზრისი მისი ეპოქისათვის გაბედული და ინოვაციური იყო. საბჭოთა რეჟიმის დროს ეს შეხედულებები მთლიანად იდეენებოდა, ტოტალიტარულმა რეჟიმმა დიდი დარტყმა მიაყენა კარბელაშვილების ოჯახს, ბევრი მისი წევრი, მათ შორის მისი შვილებიც რეპრესირებულნი იქნენ. სამაგიეროდ,

პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიამ გაიზიარა და გააღრმავა ბევრი მისი პროგრესული თვალსაზრისი.

15. პოლიევქტოს კარბელაშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა, მისი ღვაწლი ქართული კულტურისა და საზოგადოების წინაშე, რომელიც დღემდე მონოგრაფიულად და სიღრმისეულად შესწავლილი არ ყოფილა, იმსახურებს ამ დიდებული ადამიანის ხსოვნის უკვდავყოფას, მისი აზრებისა და საქმეების პოპულარიზაციას, რაც ჩვენი სამეცნიერო კვლევის მოკრძალებული მიზანიც იყო.

დისერტაციის თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხა

1. ბათუმის ურბანული და სოციო-კულტურული სახე პირველი მსოფლიო ომის წინ (1910-1914), ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა XII, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები.
2. პოლიევქტოს კარბელაშვილი კათალიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის მოღვაწეობის შესახებ (საარქივო მასალების მიხედვით), ჩვენი სულიერების ბალავარი XII, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები.



University of Georgia

School of Arts and Humanities

Doctoral Program in History

Manuscript Copyright Protected

Tea Zaridze

**Polyevktos Karbelashvili, as a
Researcher of the History of the
Georgian State and the Church**

For obtaining the Academic Degree of Doctor (PhD) of
History

Dissertation Herald

(Qualification code 1004 - History)

Tbilisi
2025

The dissertation was completed at the Department of History, School of Arts and Humanities, the University of Georgia.

Chairperson of the Dissertation Board: Tamar Koridze, Doctor of Historical Sciences, Professor;

Academic Supervisor: Dodo Chumburidze, Doctor of Historical Sciences, Professor;

Board member: Vazha Kiknadze, Doctor of Historical Sciences, Professor;

Official expert - Nikoloz Javakhishvili, Doctor of Historical Sciences, Professor

Official expert - Irina Arabidze, Doctor of Historical Sciences, Professor

Official expert - Mikheil Kartvelishvili, Doctor of Historical Sciences, Professor

The defense of the dissertation will be held on October 24, 2025, at 16:00, the following address: room N 519, Kostava Str. #77, Tbilisi

The dissertation paper will be available at the of the University of Georgia and on the University's official website: www.ug.edu.ge

The dissertation was sent on September 1, 2025.

Secretary of the Dissertation Board: Natia Manjikashvili

General description of the dissertation work

The importance and relevance of the research topic The dissertation work is the first attempt to study and investigate in depth, in the context of Polyevktos Karbelashvili's thinking, the historical thinking of the era of nationalism, its peculiarities, the function that historical science acquired in the new time; to clearly show how a new concept of historical heroes emerged in order to dispel the feeling of nihilism and hopelessness in the nation during that most difficult time; in the dissertation paper, we tried to outline the historical methodology and source knowledge base that was characteristic of Georgian historians of the imperial period; it became clear how historians working in "Iveria" and other democratic press helped the national cause, how they used examples of the past to explain contemporary problems; The previously unknown and unpublished archival, press, and source materials we have introduced into our scientific dissertation work will reveal many novelties to researchers of ancient and modern Georgian history, and will contribute to the assessment of some of the problems regarding which there are different viewpoints.

